ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1585660

ნომერი: AR1250298

თარიღი : 17.10.2014

გაცემის თარიღი : 12.11.2014

გაცნობის თარიღი : 25.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამილა ფანიაშვილი პ/ნ 01012000872
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 36 ბ. 1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.04.2012 წ. #120113 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 12.09.2014 წ. #AR1250298 განცხადებით მომართა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მინდობილმა პირმა თამილა ფანიაშვილმა და მოითხოვა 17.04.2012 წ. #120113 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 17.04.2012 წ. #120113 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომში არსებულ

მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.034.281; ფართობი: 1400 კვ.მ.) მრავალფუნქციური ობიექტის (კომერციული) აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 17.04.2012 წ. #120113 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის დამატებასთან დაკავშირებით, მრავალფუნქციური ობიექტისა (კომერციული) და დამხმარე შენობა–ნაგებობის (საწყობი) დაფიქსირებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, შესაბამისად სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.04.2012 წ. #120113 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური ობიექტი (კომერციული) და დამხმარე შენობა–ნაგებობა (საწყობი);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.04.2012 წ. #120113 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს: - აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს თრელიგორების არქეოლოგიურ უბანში, ამიტომ მიწის სამუშაოების დაწყების შემთხვევაში დამკვეთმა უნდა დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს 5 დღისა) აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საქართველოს ეროვნულ მუზეუმს;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.04.2012 წ. #120113 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.